სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

26288581556819

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190027228

რეგისტრაციის თარიღი

11.01.2019 წ

ნოტარიუსი: თამილა გოგატიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის გამზირი 8, II სართული
ტელეფონი: 599 33 55 77, 032 233 55 77

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ცხრამეტი წლის თერთმეტ იანვარს მე, საქართველოს ნოტარიუსს თამილა გოგატიშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე პეკინის 8, II სართული, მომმართა ჯიმშელი დვალიშვილმა, როგორც შპს „დვალი“-ს დირექტორმა (საფუძველი: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საიდენტიფიკაციო კოდი: 400010484), რომელმაც მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.
მე შევამოწმე მისი პირადობა და ქმედუნარიანობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მოქ. ჯიმშელი დვალიშვილმა (დაბადებული 26.05.1987 წელს, პირადი # 39001012964) მომმართა.

მე შევადგინე მინდობილობის ტექსტი, წავუკითხე მხარეს. მან მოიწონა მინდობილობის შინაარსი და პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ცხრამეტი წლის თერთმეტ იანვარს მე, ჯიმშელი დვალიშვილი, როგორც შპს „დვალი“-ს დირექტორი (საფუძველი: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საიდენტიფიკაციო კოდი: 400010484), ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ ლაშა ტალიაშვილს პირადი #01005030351; მასზედ, რომ იყოს კომპანიის წარმომადგენელი არქიტექტურის სამსახურში, მიიღის მშენებლობის ნებართვა, შეთანხმება, მოახდინოს დაკორექტირება, ამასთან დაკავშირებით აიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია შესაბამისი დაწესებულებიდან და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით და ძალაშია 2019 წლის 11 ივლისის ჩათვლით;

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა №507 2011 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლის 7-ე პუნქტის თანახმად: 11.80 ლარი დღგ-ს ჩათვლით; და 2 ლარი სარეგისტრაციო მოსაკრებელი 39-ე მუხლის თანახმად.

/თამილა გოგატიშვილი/

ნოტარიუსი: